

შპს „ოქსიგენი“

ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

31.12. 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ინფორმაცია:

შპს „ოქსიგენი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 16 დეკემბერს.

იურიდიული მისამართი: თბილისი ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვაჟა-ფშაველას გამზირი 333.კორპ.21 ბ.1.

მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 405129212.

კომპანიას ყავს ერთი 100% -იანი წილის მფლობელი და დირექტორი ატამ აბდულაევძი.

-ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- „საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.“

ანგარიშების შესაბამისობა:

- ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს კომერციული დირექტორი.

კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის მცირე საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო

ანგარიშვალდებულება. კომპანიას არ ყავს შვილობილი საწარმოები.

კომპანია იყენებს საბუღალტრო ელექტრონულ პროგრამას, და მოქმედ

ანგარიშთა გეგმას. ანგარიშების საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს.

სამუშაო ვალუტა -არის ეროვნული ვალუტა ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი

სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები გადაყვანილია ეროვნულ ვალუტაში იმ

დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთები საანგარიშო წლის ბოლოს-

31 დეკემბერს არსებული გაცვლითი კურსით. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

საბანკო ოპერაციები აისახება გამიჯნულად ეროვნულ ვალუტაში 1210 ანგარიშებზე, აშშ



დოლარის, ევროს 1220 ანგარიშებზე. სხვადასხვა ვალუტის კონვერტაცია ბანკის ანგარიშებზე აღრიცხვა აისახება 1295 ანგარიშზე. სხვადასხვა ვალუტის კონვერტაციის ხარჯების აღრიცხვა შუალედურ ანგარიშებზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება:

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- კომპანიაში ნაყიდი ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. იმპორტირებული საშუალებების ნასყიდობის ფასს+საიმპორტო საბაჟო

გადასახადები, დატვირთვა-გადმოტვირთვა, ტრანსპორტირება. კომპანიამ უძრავი ქონება შეიძინა მიწა- მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, მათი ღირებულება შეფასდა ნასყიდობის ფასით, ჯერ არ შეფასებულა ექსპერტის საშუალებით, რადგან შენობა შენდება ახალი საკუთარი ძალებით. მშენებლობის დამთავრებისთანავე ექსპლოატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიც დაემატება და მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივებად ან დაემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას, გადაფასდება.

კომპანიამ ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, ქონების გადასახადით დაბეგრა ქონება. მიწა ფართობის მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებში გაერთიანებულია ნარჩენი ღირებულება: შენობის, კავშირგაბმულობის, კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალების, ავეჯის.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით- თვითღირებულებიდან ცვეთის გამოკლებით. (1013887)



სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა:

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები შემოსავალში აიღება ფაქტობრივი ღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან სხვა დანახარჯებს. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში. მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.
- მარაგების კერძოდ მედიკამენტების შეძენა ხდება როგორც ადგილობრივ
-
- ბაზარზე, ასევე იმპორტით სხვადასხვა ქვეყნებიდან.
- დეფექტური, დაბრუნებული, და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა ხდება მოქმედი
- კანონის შესაბამისად შემოსავლების სამსახურის მიერ, შემდეგ ნადგურდება. სასაქონლო
- მარაგების ნაშთი ინახება პსეციალიზებულ ახალ სტანდარტებთან შესაბამის საწყობში.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და
- აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით და ჩამოწერაც ხდება ფაქტობრივი ხარჯვის მიხედვით.
- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო, დანიშნულების
- საქონელი მარაგებში არ აისახება შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და
- ადმინისტრაციულ ხარჯებს. (660406).

სხვა მოკლევადიანი აქტივები

- ფინანსურ ანგარიშგებაში ამ აქტივებში შეტანილი მაქვს საგადასახადო ვალდებულებები, შუალედური ანგარიში, სხვა დანარჩენი აქტივები. (104818)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აქტივებში

- ასეთი ტიპის აქტივები წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის



მიწოდებისას, როგორც რეზიდენტი პირების მიმართ ადგილობრივ ბაზარზე, როგორცაა:
კსკ ფარმა, შპს ავერსი ფარმა, სს გეფა და ა.შ. ასევე უცხოური
კომპანიების მიმართ ძირითადად აზერბაიჯანის რესპუბლიკის რამდენიმე კომპანიასთან
ვახორციელებთ ექსპორტს/რეექსპორტს. (5059723).

სავაჭრო ვალდებულებების აღრიცხვა

-სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციის კერძოდ მედიკამენტების, საკვები
დანამატების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლების წინაშე

რეზიდენტი კომპანიების, ასევე უცხოური კომპანიების მიმართ რომლებიც წარმოადგენენ
ძირითად მომწოდებლებს კერძოდ ესპანეთი, თურქეთი, ჩინეთი, ინდოეთი. (685066).
კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში
ვალდებულება იქნება როგორც გრძელვადიანი.

სასესხო ვალდებულებები

კომპანიას აქვს სესხი აღებული პროვაიდერ ბანკში, რომელსაც ყოველ თვეში იხდის
დადგენილ ვადებში. (496542)

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

-საწარმოს საკუთარი კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
არის (5705880) ლარი.

აქტივებს - ვალდებულებები = საკუთარ კაპიტალს.

ხარჯების აღრიცხვა

-ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

-ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნებისათვის



საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბუგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, განაცემები რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

შემოსავლების აღრიცხვა:

-რეალიზაციიდან ამონაგების აღრიცხვა მოიცავს პროდუქციის, საქონლის რეალიზაციიდან საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლის აღრიცხვას. კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს.

მოგება/ზარალი:

- წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად,
- სხვა დანიშნულებით, დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.
- მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების, დამტკიცების, წარდგენის

პასუხისმგებლობა:

შპს „ოქსიგენი“-ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა მფლობელის კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებზე 2022 წლისათვის მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, სიახლეების დანერგვასა და შენარჩუნებაზე. კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის



უნარის შეფასებაზე. ხელმძღვანელი კაპიტალის მართვისას მიზნად ისახავს უზრუნველყოს
კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავისი საქმიანობა ისე, რომ შემოსავლით
უზრუნველყოს, ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესოს, ასევე გააძლიეროს ქვეყნის
ეკონომიკა.

შპს „ოქსიგენი“-ს 2022 წლის ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია 27.09 2024წ.

შპს „ოქსიგენი“-ს დირექტორი:

ატაშ აბდულაევძი



ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59537	493402	234695
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5059723	3157852	2500679
მარაგები	660406	779505	762968
სხვა	660406	779505	762968
სხვა მოკლევადიანი აქტივები	104818	11486	12369
ძირითადი საშუალებები	1013887	101905	111726
სულ აქტივები	6898371	4544150	3622437
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	685066	26379	187384
ანარიცხები	9883	9695	9460
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1000	2000	2005
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	496542	469567	393570
სულ ვალდებულებები	1192491	507641	593312
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კი	62542	12352	34836
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5643338	4024157	2994289
სულ საკუთარი კაპიტალი	5705880	4036509	3029125
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6898371	4544150	3622437
სულ მოკლევადიანი აქტივები	5779666	4490759	3498342

შპს "ოქსიგენი" დირექტორი:



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	9006376	5673697
საქონლის გაყიდვიდან	9006376	5673697
გაყიდვების თვითღირებულება	-5939104	-3859807
საერთო მოგება	3067272	1813890
დასაქმებულთა ანაზღაურება	-447313	-350511
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-52145	-17950
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-805089	-312779
სულ საოპერაციო ხარჯები	-1304547	-681240
საოპერაციო მოგება	1762725	1132650
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძ	1762725	1132650
მოგების გადასახადის ხარჯი	-264409	-169897
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1498316	962753
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1498316	962753
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4036509	3029125
კაპიტალის სხვა ცვლილებები	171055	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5705880	4036509

შპს "ოქსიგენი"-ს დირექტორი:



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან)	-433865	258707
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-433865	258707
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში	493402	234695
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში	59537	493402

შპს "ოქსიგენი"-ს დირექტორი:

